



სსიპ საზღვაო ტრანსპორტის
სააგენტო

LEPL MARITIME TRANSPORT
AGENCY



KA020111895892818

სსიპ საზღვაო ტრანსპორტის სააგენტო საქართველო, ქ.ბათუმი, 6000, ბაქოს ქუჩა N50. ტელ.:+995 422 27 49 25/26
50 Baku Str., 6000, Batumi, Georgia. Tel.:+995 422 27 49 25/26

№ 2/CIRC/MSD

02 / მარტი / 2018 წ.

საქართველოში მოქმედ გემის მომსახურე ყველა
სააგენტოს

საქართველოს ყველა საზღვაო ნავსადგურს

საზღვაო ოპერაციების ერთობლივი მართვის ცენტრს

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს
სახელმწიფო საქვეუნებო დაწესებულება -
საქართველოს სასაზღვრო პოლიციის სანაპირო დაცვის
დეპარტამენტს

ბატონებო,

ბოლო პერიოდში გახშირდა საქართველოს ნავსადგურებში მომსვლელი ისეთი გემები, რომელთა გემის სარეგისტრაციო/საკლასიფიკაციო დოკუმენტები არ შეესაბამება დროშის ადმინისტრაციის მოთხოვნებს, ხოლო ეკიპაჟის კომპეტენციის/კვალიფიკაციის სერტიფიკატები არ შეესაბამება „მეზღვაურთა წვრთნის, სერტიფიცირების და ვახტის განვის შესახებ“ საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციის (STCW) კონვენციის მოთხოვნებს. ასევე, გახშირდა ეკიპაჟის მხრიდან ისეთი სერტიფიკატების წარმოდგენა, რომელთა ნამდვილობაც ოფიციალურ წყაროებთან გადამოწმების შემდეგ არ დასტურდება. აღნიშნული ინფორმაცია, საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს მიერ მოწმდება საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციის მონაცემთა ოფიციალურ ბაზაში დაფიქსირებულ საკონტაქტო პირებთან. აქვე გაცნობებთ, რომ გახშირდა შემთხვევები, როდესაც სხვადასხვა დროშის ადმინისტრაციები არ ადასტურებენ ამათუიმ სანჯრთნელი ცენტრის სახელმწიფო აღიარებას. მიუხედავად ამისა, აღნიშნულ ტრეინინგ ცენტრებს გააჩნიათ ვებ-გვერდები, სადაც შესაძლებელია მათ მიერ არაკანონიერად გაცემული სერტიფიკატების გადამოწმება, რომელიც თავის მხრივ არ არის აღიარებული ამათუიმ სახელმწიფოს მიერ.

მოგმართავთ რეკომენდაციით, რომ მანამ სანამ მოახდენთ ნომინირებული გემის დადასტურებას, დეტალურად გადაამოწმოთ გემის, როგორც სარეგისტრაციო და საკლასიფიკაციო სერტიფიკატები, ასევე ეკიპაჟის სერტიფიცირების სტანდარტები და ნავსადგურის კაპიტანს დროულად მიაწოდოთ გემის მოსვლის წინა ინფორმაცია და მასში მოთხოვნილი დოკუმენტაცია, ასევე ეკიპაჟის წევრთა სერტიფიკატების სკანირებული ასლები იმ პირებზე, რომელთა თანამდებობებიც მოხსენიებულია გემის ეკიპაჟით უსაფრთხო დაკომპლექტების დოკუმენტში (Minimum Safe Manning Document).

წინააღმდეგ შემთხვევაში, საქართველოს საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს ნავსადგურის სახელმწიფო ზედამხედველობისა და კონტროლის სამსახურები გამოიყენებენ კანონით მინიჭებულ უფლებამოსილებას და დარღვევის აღმოჩენის შემთხვევაში გემის და გემის ეკიპაჟის მიმართ გამოიყენებულ იქნება საქართველოს კანონმდებლობით და საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებით გათვალისწინებული სანქციები. სანქციები შეიძლება მოიცავდეს, როგორც გემის ნავსადგურში შესვლის აკრძალვას, ასევე გემის დაკავებას, დაჯარიმებას და სხვ.

პატივისცემით,